

IV თავი

სტუდენტის სწავლის საფასურთან დაკავშირებული შეღავათები და დაფინანსება ბსუ-ს ბიუჯეტიდან

ბსუ-ს ბიუჯეტიდან სტუდენტის სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საფასურის ფარგლებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით **თავისუფლდებიან მხოლოდ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები**, რომლებიც არიან მშობლების მხრუნველობას მოკლებულნი (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები). **ბრძანება გამოიცემა სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა** სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათები, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (დაფინანსების/შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და განხორციელების წესს) შეიმუშავენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, თუკი სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილი სწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს. ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს.